საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 0 23 0001620182

29/11/2023

მარკეტინგის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2023 წლის 09 ნოემბრის №1521218, 2023 წლის 15 ნოემბრის №1556396 და 2023 წლის 21 ნოემბრის №1584958 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-6 მუხლის მე-11 და მე-14 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „დ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მარკეტინგის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული მარკეტინგის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.
3. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით" გათვალისწინებული მარკეტინგის დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისად შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნეს ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 წლის ვადაში, გარდა ამ ბრძანების მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.
4. თუ მარკეტინგის დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისად შემუშავებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო პროგრამამ/პროგრამებმა ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 წელზე ნაკლებ ვადაში უნდა გაიაროს აკრედიტაცია, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენისას საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან.

5. თუ ცენტრს სააკრედიტაციო განაცხადი წარედგინება მარკეტინგის დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისად შემუშავებული ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების თაობაზე, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან.
5. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
6. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ